კვირა, 23 მარტი 1930 წ. № 11 (247) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

ზოგიერთ დაწესებულების ხელმძღვანელი ამხანაგები უყურადღებოთ სტოვებენ პრესა-ში მოთავსებულ წერილებს მათ „პასუხის-მგებელ" თანამშრომლების შესახებ.




— ჰმ! როგორ ტყვილა იწუხებენ თავს. ნამდვილი ჯავშანი ვარ, რას დამაკლებენ!

Библиотека-Музей
12 552

# „მთავრობის კაცი"

სოსიკო გაძვრენძის პარტიულობას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა.

— გაძვრენაძე რა კომუნისტია, მას კომუნისტობის რა სცხია, — ამბობდენ ისინი, რომლებიც მას კარგათ იცნობდენ, მაგრამ ხელდახელა „საპატიო" მიზეზების გამო ამის შესახებ არ ამჟღავნებდენ.

პარტიის წმენდის დროსაც მას წინააღმდეგ ორავინ გამოსულა, რის გამო გამწმენდ კომისიას არ გაჩნდა საჭირო მასალა გაძვრენაძის პარტიიდან გარიცხვისათვის.

— ეხლა კი გადავრჩი, მაგრამ ხვალ შეიძლება ორივე ფეხებით ჩავარდეო, ფიქრობდა სოსიკო და ცდილობდა პარტიაში თავისი შერყეული ავტორიტეტის გამტკიცებას.

პარტიამ პასუხისმგებელ კომუნისტების მობილიზაცია მოახდინა სოფლად კოლექტივიზაციის ხელმძღვანელობისათვის.

სოსიკოსაც ეს უნდოდა.

მან გადასწყვიტა მობილიზაციაში მოყოლოდა და რომელიმე სოფელში „ბრწყინვალეთ" ჩაეტარებია კოლექტივიზაცია და მით პარტიის წინაშე „მაგარი" კომუნისტის სახელი მოეხვეჭა. და, მართლაც, როგორც იტყვიან, მან ეს საქმე ჩინებულათ „მოაჭახრაკა", და ისიც სოფელ ბნელამეთში იქნა გაგზავნილი.

თავის სამოქმედო პროგრამა მან წინდაწინვე შეიმუშავა:

ხსენებულ სოფელში ჩასვლის პირველ დღეს დაისვენებდა.

მეორე დღეს მოწვეული იქნებოდა მიტინგი, რომელზედაც ის მთავრობის სახელით მიესალმებოდა ბნელამეთის მშრომელ ხალხს და თავს გააცნობდა.

მესამე დღეს ის გააკეთებდა საბჭოთა ალმშენებლობის შესახებ მოხსენებას.

მეოთხე დღეს გამოვიდოდა ვრცელი მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მეხუთე დღეს უნდა ელაპარაკა კოლექტივიზაციის მნიშვნელობაზე, და მეექვსე დღიდან კი შეუდგებოდა ბნელამეთის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის მუშაობას.

ერთი რამ აფიქრებდა მას.

პარტიის დირექტივების თანახმად კოლექტივში წევრების მიღება ნებაყოფლობით უნდა მომხდარიყო.

— ვაი თუ გლეხებმა ვერ გაიგონ და კოლექტივში არ ჩაეწერონ, მაშინ ხომ მიზანს ვედარ მივაღწევო,—ფიქრობდა გაძვრენაძე, და ასეთ შემთხვევისათვის ემზადებოდა.

„ამას არ დაუშვებ, ზომებს მივიღებ, მთავრობის სახელით ვიმოქმედებ, თუ საჭირო იქნება მუქარასაც მივმართავ" ამბობდა თავისთვის სოსიკო.

გაძვრენაძის გეგმა გადამეტებით იქნა „შესრულებული". ბნელამეთი „მთლიან კოლექტივიზაციაზე" გადავიდა და სოსიკოც „გამარჯვებული" გაეშურა თბილისისაკენ.

სადგურამდის ის გააცილეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

სანამ მატარებელი ჩამოდგებოდა გაძვრენაძე და მისი გამცილებლები სადგურის ბუფეტში ღვინით სავსე ჭიქებით ერთმანეთს ადღეგრძელებდენ.

— ამხანაგო სოსიკო, იმედია არ დაგვივიწყებით და მთავრობის ყურადღებას არ მოგვაკლებთ... რაც შეეხება ჩვენს კოლექტივს, სიმართლე უნდა გითხრათ, რომ თქვენგან ხალხმა ვერაფერი გაიგო... გაუბედავი კილოთი სთქვა ბნელამეთის თემსაბჭოს თავმჯდომარემ.

— როგორ თუ ვერაფერი გაიგო? მაშ, მე ერთი კვირა დილიდან საღამომდის ქარზე მილაპარაკია?.. ეს როგორ შეიძლება?

ბრძანების ხმით წარმოსთქვა გაძვრენაძემ.

— თქვენ ხომ ჩვენზე მეტი იცით, მთავრობის კაცი ბრძანდებით, მარა ამ ეირების, ქათმების, ბატების და ინდაურების გაერთიანება რა საჭირო იყო? — მორიდებით იკითხა თემსაბჭოს ერთმა წევრმა.

ამ დროს ბუფეტში შემოვიდა ბნელამეთის ერთი ღარიბი გლეხი ვანო გაბედულაძე, რომელსაც ხელში გაზეთი ეჭირა.

— ამხანაგო, ერთი ეს ამიხსენი — მიმართა მან გაძვრენაძეს, — აი, ეს გაზეთი ახალი გაზეთია, ჩვენმა მასწავლებელმა ჩამოიტანა დღეს თბილისიდან. ამ გაზეთში წერია, რომ კოლექტივი გლეხების ნებაყოფლობით დგება, რომ მეწველი ძროხებისა და შინაურ ფრინველების გაერთიანება არ შეიძლებაო.

თქვენ კი ყველაფერი გააერთიანეთ. მე არ ვიცი, თქვენ მთავრობის კაცი ხართ, მარა ეს გაზეთი განა მთავრობის არ არის?

მე ღარიბი გლეხი ვარ და მუდამ კოლექტივში დავრჩები, მაგრამ რათ გვინდა ჩვენ ისინი, რომლებსაც ჩვენთან ყოფნა არ უნდათ. გთხოვთ ამიხსნათ რაშია საქმე.

გაძვრენაძე მიხვდა ოაში იყო საქმე.

გლეხს გაზეთი გამოართვა, თავისთვის წაიკითხა და უკანვე დაუბრუნა. მას არ ესიამოვნა ეს ამბავი, მაგრამ ცდილობდა სხვებს არ შეემჩნია.

მან ღიმილით მიმართა მათ:

— აქ ისეთი არაფერია... თბილისში ავალ და ამ საკითხს თვითონ დავსვამ მთავრობაში. თქვენ მოიქეცით ისე, როგორც გითხარით —და ის გამოემშვიდობა მათ და ჩამომდგარ მატარებელში ჩაჯდა.

გაძვრენაძის თბილისში ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ საკონტროლო კომისიამ ბნელამეთში მის „მოღვაწეობასთან" დაკავშირებით, გამოარკვია უკანასკნელის წარსული და დაადგინა პარტიიდან მისი გამორიცხვა.

ქუმბარა

## შეკითხვა ზეცას

„პაპა პიო XI-მ საბჭოთა ქვეყნებზე თვალყურის დევნა ჩააბარა წმ. ტერეზას".
(გაზეთებიდან)

გაგვაგებიეთ, რა მიზეზია,
რომ წმინდა ტერეზია,
არსად სჩანს დღემდე?
გავიდა უკვე ორ თვემდე,
რაც რომის პაპამ საბჭოთა ქვეყანა მას ჩააბარა,
და სასტიკათ დააბარა:
ყოველი ზომები მიეღო,
რათა მისი არსებობისათვის ბოლო მოეღო,
რაც შეიძლებოდა ჩქარა!
ქრისტეს მოადგილის მუქარა
ამდენხანს რჩება შეუსრულებელი.
ნუ თუ ეს ზეცის წმინდანებისათვისაც ასეა ძნელი,
როგორც ჩვენ, წმინდანებს მიწის,
მისი შესრულება გვიჭირს?

კენტიბერის არქიეპისკოპოსი.
დედანთან სწორია ხ. თ—ია.




— პაპსა ვწერ „დანოსს", მის „სამწყსოზე" შემტკივა გული ქესატობაა—და იქნება დაგცანცლო ფული.

მზადდება „ტარტაროზი"-ს სპეციალური ნომრები
ქუთაისზე და ყოფა-ცხოვრებაზე

# თვითონაც არ სწამთ 




როგორ აწერენ ხელს „სამშვიდობო ხელშეკრულებებს" „სამშვიდობო კონფერენციაზე".

# ცამეტი—კვიმატი

რიცხვი ცამეტი რომ კვიმატია,
ნუ თუ ეს თქვენთვის გასამართია?!
მე კი არ შემდის ამაში ეჭვი, —
        არც ერთი ბეწვი!
ყური დამიგდეთ, — მოგითრობთ მე რას:
        ცამეტ იანვარს.
მე შევამოწმე ეს კიდევ რაში:
სოციალისტურ შეჯიბრებაში
კოოპერაციის მუშაკები გამოვიწვიე.
აი, შედეგათ რას მივაღწიე.
(„კოოპერატიული ცხოვრების" მეშვეობით,
ამ შეჯიბრებაში ჩვენ შევებით,—
იხილე ნომერი ცამეტ იანვარის,
სადაც ის დაბეჭდილი არის).
        პირობა იყო ასეთი:
კოოპერაციის მუშაკი არცერთი
მუშტარს არ მოპყრობოდა უდიერათ,
        და რამეფერათ
ადამიანური გამოეჩინა ყოფაქცევა,
რომ მუშტარს შეეწყვიტა გაქცევა
        კერძო ვაჭართან!..
ამას დავსძენდი აგრეთვე მე თან,
რომ შესაფერი ზომები მიეღოთ,
და ასეთ ხმებისთვის ბოლო მოეღოთ:
„ჩვენს კოოპერაციაში,
კერძოთ, მის სავაჭრო აპერაციაში,
ისეთი უმსგავსოება ხდება,
რითაც მისი განვითარება ფერხდება"...
        და სხვა ასეთი რამეები,—
მოყვრის საწყენი, მტრის საამები,
        მოსპობილიყო.

თქვენი თვალებით ნახავთ
გულმოსაკლავ სანახავს:
როგორ ის ანაწილებს
ამ საქონლის ნაწილებს,
        ერთი ასათ
        ძვირ ფასათ!..
სიტყვა რაღა ბევრი გავაგრძელო?!
        მე გავიტა  ლელო!
შეჯიბრებაში მათ ვაჯობე,
თუმცა საქმისთვის ასე არ სჯობდა!..
სითავმდაბლე მე ნებას არ მაძლევდა,
თუმცა სიამაყე, მეორე მხრით, მძლევდა,
გამემჟღავნებია მე ეს ამბავი,
ჩემთვის საქები, მათთვის კი ავი.
და თუ გამომაქვს ეხლა ეს მზეზე,
სხვა რამე არის ამის მიზეზი.
ოცდა ექვსი კომუნარების ქარხნის მუშებმა
        იკისრეს შეფობა
კოოპერაციის თანამშრომლებზე,
        რომლებზე
იმედ გაცრუებული დავრჩი მე,
        და ამიტომ ვარჩიე,
გაფრთხილება მივსცე მათ
        მე ამით:
თუ მუშები არ შეიარაღდებიან რკინის ცოცხით,
კოოპერაციის უღირს მუშაკთა გასაცოცხათ,
უფლება მაქვს ეჭვი შემივიდეს,
რომ მათი შეფობიდან რამე გამოვიდეს,
თუმცა ის დაწყებული არ არის დღეს კვიმატს,
        არამედ შვიდ მარტს!..

ს. თ—ია.

# სიზმარი

## აკაკის ლექსის პაროდია

დღიურ სიცხადით გახალისებულს
ღამით მეჩვენა უცხო სიზმარი, —
ვნახე — გახიზნულ მენშევიკების
ნოეს კიდობნით მოვიდა „ჯარი“.
წინ მოუძღოდა, — აწ საიქიოს
განსვენებული, — ამბროსი ჯვარით,
გვერდს რამიშვილი უძღოდა „წმინდანს“
ტანმოკაზმული ჯავშან — აბჯარით,

თეთრ რაშზე იჯდა თვით დიდი ნოე,
თეთრი გიორგის გატეხილ შუბით,
გვერდს ქარცივაძე უძღოდა მხედარს—
ყალბ ჩერვონცებით გატენილ უბით.
რომის პაპისკენ მიეპყრათ თვალი,
მუსოლინისკენ იშვერდენ ხელსა,
და შეერთებით ოკრიბულ ჰანგზე
გალობდენ ამა საგალობელსა:

„დიდო მთავარო ეკლესიისავ,
ციურთა ზრახვებს იცნობ და ხვდები,
შენა ხარ ქრისტეს „ზამესტიტელი“,
სამოთხის კარის დამკვეტ-გამღები.

იყოს კურთხევა ჩვენდამი შენი,
ღმერთს შეგვავედრე, ჰქენ მოწყალება,
რომ არ მოგვაკლოს საქართველოდან
ჩვენგან გაზიდულ ხატთა წყალობა.

დიდო მუსოლინ! შენა ხარ ამ ქვეყნად
ვატიკანელის შემდეგ მესია,
შენგან ხსნას ელის საბჭოთა მიერ
ჩაგრული ხალხი და ეკლესია.
ბოლშევიკებმა წაგვართვეს მხარე,
მხარე ჩვენს ხელში დიდ-ქირნახული,
მეცხრე წელია, რაც მხიარულად
აღარ შეგვისვამს ტკბილი კახური.
მათ გამოდენეს ჩარჩი, თავადი,
განდევნეს ყველა მუქთა ხორები,
და დაერიენ ჩვენს მამა-პაპურ
კარ-მიდამოებს, როგორც ქორები.
ანგრევენ ქუჩებს, ანგრევენ სახლებს,
ანგრევენ, რასაც კი შეხვდებიან,
თვით შაჰაბაზიც ვერ ჩაიდენდა,
რასაც ისინი ახლა შვებიან.
საფრთხეში არის წმინდა მეუფევ,
კულაკების და ხ⸗⸗იების ბედი,
კოლექტივები მოედვა სოფლებს,
გული დაგვეწვა როგორც აბედი.
ოჰ, არასოდეს ჩვენ არ გვინახავს
ასე საშიში სიკვდილის ქარი,
კოლექტივები ჩვენ ცოცხლად გვმარხავს,
გვეცლება ბურჯი და დასამყარი.
შენ დაგვიფარე წმინდა მამაო,
და მუსოლინო, ჩვენო მესია,
დაგვეახსნევიე ურწმუნოთაგან

კულაკი, მღვდელი და ეკლესია.
უკანასკნელად მოგმართავთ, გვერდით
სიკვდილის კართან სიცოცხლის მდომი, —
ნუ დააყოვნებთ და საბჭოებთან
ფიცხლავ დაიწყეთ საზარი ომი!“

უცებ ნისლები აეშვენ ზღვიდან
მაღლით, ღრუბლისკენ ნისლმა გასწია
და დაინახეს ღრუბლებში ცაზე
მათ სამი თითის კომბინაცია.

**მედუზა.**

## შურის-ძიება (გუკის-ციხე)



გაბრაზდა სკოლის გამგე, დაანთო ბული, ბოლ⸗;
დახია მოწაფეთა ბრაზისგან მან ფუტბოლი!

## დაუშვი ფარდა!

### „ჩქარი № 2“

ბილეთის რიგში—ჩხუბი და კრივი,
ეკრანზე ჩქარი მატარებელი.
სახლში დაბრუნდა კინოდან ცივი
უკმაყოფილო მაყურებელი.
ეკრანზე უცბად გადაირბინა
(და მართლაც იყო ექსპრესი„ჩქარი“).
ალბათ არქივში ჰპოვა მან ბინა...
(ისე არა წვიმს, როგორც ჰქრის ქარი).

### „ჩემი ბებია“

წერილს გწერ, ჩემო კარგო ბებია,
ამდენხანს სად ხარ? სად დაიკარგე?
ეგებ შენ ჩუმად გარდაიცვალე
და ეკრანიდან მთლად აიბარგე?!.
ეგებ არქივში (იგივ სამარე)
შენ გაკრევინა კრიტიკამ თავი?
ხმა მაინც გამეც, ჩემო ბებია,
ძლიერ გვაწუხებს შენი ამბავი.

## აი მიზეზი (გოდოგნის თემი, ქუთ. ოლქი)



— ნეტა, ამდენხანს ჩვენი ნოქარი რატომ არ აღებს კოოპერატივს? რატომ აგვიანებს მოხვლას?

— გათენებამდე მოვიდა და შიგ არის თავისი ცოლით... საქონელი ახალი მოტანილია და თავისიანებისათვის არჩევენ.

(ნიგრში).

## მეგობრების შეხვედრა



— შენ, ძმობილო, სად გაატარე ეს ზამთარი, აგრე რომ გამხდარხარ?
— კოოპერატივში!
— მე კი მუშკოოპის გამგის ბინაზე ვცხოვრობდი. გულის სიმსუქნე მაქვს და მოკლე ხანში ბორჯომისკენ უნდა წავიდე საგარაკოთ.

## მკვდარი ცოცხალს უბრძანებს

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი შინაგანი და გარეშე მტერი ყავს.

ამ მტრებს შორის ძველ ყოფა-ცხოვრების ნაშთებს საპატიო ადგილი უჭირავს.

მართალია ჩვენ თარიღში მღვდელი და დიაკვანი ისე ვეღარ ისქელებს ჯიბეს, როგორც ეს იყო წინათ. სამღვდელოებისათვის შემოსავალ წყაროებს სეზონი და მოდა გაუვიდათ, მაგრამ ზოგიერთი ჩვეულებები უმღვდელოთაც საკმაოდ ამჩატებს მშრომელის ჯიბეს. აბა სად იციან თუნდაც ჩვენსავით მიცვალებულის „გაპატიოსნება“?

ქალაქში მკვიდრი, მორთული, ლამაზი და ძვირი კუბო (ალბათ უბრალო და იაფფასიან კუბოში ცხედარი ცუდათ იგრძნობს თავს), ამასთანა ერთად ოთხ ცხენიანი ამფოანი (კატაფალკა), რომელიც ცარიელი მისდევს ცხედარს, ოთხი ჯამბაზივით მორთული ცილინდრებიანი კაცებით გარშემორტყმული. მკვდარს წინ მიუძღვის ახალგაზრდების რიგებით, მრავალ ძვირფასიან გვირგვინებით და ცხედრის გადიდებულ სურათით. ჩერდება ტრამვაი, ავტო, ეტლი, ცხენი, ჯორი. ნელდება ქალაქის მოძრაობის და მუშაობის ტემპი.

თითო „საშუალო“ მკვდრის დაკრძალვა (ხალხის მოცდენით) გვიჯდება არა ნაკლებ სამი ათასი მანეთისა.

არც სოფელი ჩამოურჩება ქალაქს ამგვარ უყაირათობაში.

კახეთში ავადმყოფის მოვლა სრულებით არ იციან. სიკვდილის შემდეგ კი წლობით გაუბანელ ცხედარს გაბანებენ, დაკონკილ და დაფლეთილ ჩოხა - ახალოხს შეუცვლიან ახალ ტანსაცმელებით, შიშველ ჩაშავებულ ფეხებს დაუმშვენებენ ახალი ჩექმებით ანუ ჩუსტებით და ჩააწვენენ ხელოვნურ ყვავილებით მორთულ კუბოში. ერთი სიტყვით ისე გააკოხტავებენ, რომ შეეხარბება კაცს!

გურიაში მიცვალებულს ცოცხალზე მეტი ფასი აქვს. მოსახლის გარდაცვალების ამბავი გაზეთში მოთავსებულ სამგლოვიარო მრავალრიცხოვან განცხადებებით, მაღალ სტილით დაწერილი ნეკროლოგებით, ხშირად სპეციალურად დაბეჭდილი უწყებებით, დეპეშებით და სიტყვიერ გადაცემით ედება მთელ საქართველოს. ნადგურდება ქირისუფალი; იღვრება ზღვა ცრემლი, იცლება ღვინის ჭურები, ისპობა საზადებელი.

ერთი სიტყვით, მკვდრების დიქტატურაა, რაღა!

უტრადიციო.

# ჩვენი მგზავრები



ვატმანი:—ვაგონი ცარიელია, ყველა მოთავსდებით... აცალეთ ერთმანეთს შესვლა!

## ჩემი მოგზაურობა

ქუთაისის სადგურის მოლარემ ბილეთი მომცა ისეთი მორიდებით, რომ ხურდა სწორად დამიბრუნა. (ძალიან გამიკვირდა, რომ ორი კაპეიკი არ დაიტოვა).

— **შორაპანი!**—მოგვაყვირა ძველებური „ზრდილობით" კონდუქტორმა. ოთხი საათი უნდა იცადო ქიათურის მატარებლის გასვლამდე. თუ გსურს სკამის დაკავება, უსათუოდ უნდა მოითხოვო „ზაკტპის" ბუფეტში თეთრი ღვინო, რომელშიც გოგირდი ბლომად ურევია.

ორი სკამი დაგვიჯდა შვიდი მანეთი. ღვინოზე ადრე გოგირდმა გაგვაბრუა. ოთხი საათიც გავატარეთ. ქიათურის მატარებელი ჩამოდგა. ჩავემწკრივეთ რიგში. კარები დაკეტილია, ვაგონები კი ხალხით პავსეა.

როგორც იქნა გაუბედეთ კონდუქტორის გამოძახება და მორიდებული პრეტენზია გაუცხადეთ.

— „ნე ტვოი დელა!" გვიპასუხა „ზრდილობიანათ" და მთელ ვაგონში სინათლე ჩააქრო. გაიღო ბნელი ვაგონის კარები. ბნელ'ში ერთმა „თავხედმა" გლეხმა ვერ გაარჩია კედელზე მოკიდებული ფარანი და თავი თხლიშა ზედ. მინა გატყდა.

— „აბა გადმოდი ძირს და შტრაფი გადეიხადე — ეძალება კონდუქტორი.

— შე მამაცხონებულო, აგენთო სანთელი და შევხედავდი თუ სად იყო მიკიდებული ფანარი, მე ხომ კატის თვალები არ მაქვს, რომ ბნელ'შიც ვიხედებოდე!—მე რომ თავი გავიტეხე, იმის შტრაფს ვინ გადამიხდის?— შესჩივლა გლეხმა და ექვსი შაურიც ამოყაჭა ჯიბიდან.

— კაცო უგარი გვახრჩობს, კარები გამოაღეთ!—ყვირიან მგზავრები.

— ხელი არ ახლოთ კარებს, თორემ ხუთი მანეთით დაგშტრაფავთ!—იმუქრება კონდუქტორი და თვითონ ჰაერზე გადის.

**ქ. ჭიათურაში** ვეძებეთ ორი საათის განმავლობაში სასადილო. თურმე არცერთ სასადილოს აბრა არ ქონია მიკრული და უცხო კაცისთვის ძნელი პოსანახია. ერთ ადგილას შევამჩნიეთ მთვრალი ხალხი, შევიხედეთ და ჩვენდა საბედნიეროდ აღმოჩნდა წითელი სასადილო.

სადილს ვუცადეთ ორი საათი, თურმე სად. შორაპნიდან უნდა გვეცნობებია ტელეფონით სასადილოსთვის, რომ დროზე სადილი მოემზადა მისამსახურეს.

ხლისტი.

## პირადათ რედაქტორს

შეიძლება გაგაცინოს,
ამხანაგო რედაქტორო,
თუ ხათრი გაქვს, არ გამლანძღო,
არ გამკიცხო, არ გამჯორო.

(თუმცა ჩემი ეს ამბავი
სინამდვილეთ რომ გამოყო,
ჰგავს—ბედაურთ როცა ჭედდენ,
და კუმ ფეხი რომ გამოყო).

გადავშალე „ტარტაროზი".—
და რომ ვნახე ში ანკეტა,
გულში ასე გავიფიქრე:
„მეც ტარკორი ვიყო ნეტა".

თუმცა ერთხანს წერილები
მიდიოდა ჩემი ხშირათ,
მაგრამ შემდეგ კალათისკენ
გადავიდა თავდაყირათ.

ეხლა ვამსებ ამ ანკეტას
და ვაგზავნი თქვენთან კიდევ,—
მაგრამ ვაი თუ გადავარდი
და ჩანტალზე კვლავ ამკიდე.

რედაქტორო, ამ განზრახვას
მეტიჩრობად ნუ ჩამითვლით:
მეტი წერა არ ვიცოდი
და ამ ამბავს მიჭკა გითვლით.

იხტომეხპარელი.

# უმუშევრობასთან ბრძოლა უცხოეთში






— ჩვენზე ამბობენ, რომ უმუშევრობასთან ბრძოლას არ აწარმოებენო?! აი, ხომ ხედავთ, როგორ თანდათან მცირდება უმუშევართა რიცხვი!

## სცენა ტელეფონთან

(საფილაოს ქარხანა)

ა? ქარხანა? კრილე ხარ? რა მინდაო? რა მინდა და შენი შერცხვენა. ბიჭო, მაქანე დაწინაურებული მუშა, რომ გამოგიგზავნეთ ზალიაშვილი, სად გაუშვით? ჯეჯელავა გედეეკიდა და გადააგდო მაქიდან? მერე-და ეგია, კაცო, მუშათა დაწინაურების საკითხის სწორი გაგება? რაო? ვანო ქბილეზს აკრიჭინებს? ეშინია მუშებს მისი? ერთი ეს მითხარი — ანგარანის თავი ვინაა მაქანე? მელიტონ ნინუა? რომელი კაცო? ძველად პრისტავად რომ იყო? ისე იხარე! კაია ბიძია, ძველი ადმინისტრატორია და ვანოს მიეხმარება მუშების შევიწროვებაში. ა? მაგას „თავი“ არ აქვს და ამიტომ შეგრჩათ ამდენ ხანს? მაგ თქვენ ანგარანში რომ ყოველდღე ჩხუბი ყოფილა და თავპირს ამტვრევენ ერთმანეთს: ლევანი, სპირიდონი, ბორია და სარა, ... მასეა?

აშენდება წარმოება მაგ ჩხუბში და დავითარაბაში, ისემც რა გითხრა თქვენ.

ბიჭო, აპოლონი რას შვება? თვითკრიტიკა „თვითინტრიგა“-თ გადააქცია? მუშკორის დანახვაზე ასი პროცენტით ეკარგება მუშაობის უნარი? ბურდღუნლობს „დათვივით“? მამა მედავითნე ყავდა, თვითონ მედავითნე იყო, და ესაა მისი ხელობა. ბიჭო, კირილე კედლის გაზეთში მარტო ქება-დიდება უნდა წეროთ? ეჰ. შენს პატრონს!

ზრაგუნა.

---

## სამგლოვიარო სხდომა

(ქუთაისი, ო...ი № 16)

პროფსაბჭოში შესდგა ყველა კავშირების პ.-მგ. ამხანაგების თათბირი.

დღის წესრიგში იდგა ფრიად სამწუხარო საკითხი:

საორგ. განყ. გამგის ამხ. დ. გულოვის ძველი პალტოს ტრაგიკული დაკარგვა.

დამწუხრებული ჭირისუფალი ბოღმით ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ ერთმა მისმა გაჭ. ვრების მოზიარემ კრებას აუხსნა გულოვის „უბედურება“.

კრებამ ფეხზე ადგომით (ვინაიდან სკამები არ იშოვებოდა) პატივისცა დაკარგულ პალტოს ხსოვნას და დაადგინა: „მიეცეს გულოვს პროფსაბჭოს ფონდიდან პალტოს საფასური 60 მანეთი“.

ქუთაისის ყაფანზე მეორე დღეს ქურდი გულოვის პალტოს ჰყიდდა.

მყიდველები 7 მანეთზე მეტს არ აძლევდენ. ქურდს ბოლმა ა... ჭობდა. უკანასკნელად ერთი შევევაჭრა და 8 მანეთი შესთავაზა.

— შენ კავშირის წევრი ხარ? — შეეკითხა მას ქურდი.

— ვარ! — უპასუხებს მყიდველი.

— მერე-და, შე ყურუმშალო, რატომ არ ემორჩილები კავშირების დადგენილებას? პროფსაბჭომ ამ პალტოს 60 მანეთი ფასი დასდო და შენ კი 8 მანეთს იძლევი!

ხვიშტილიკა.

# მათი რომანი



ქალი:—მშვენიერო შენ გეტრფი, შენი მონა, ერთგული:
— ვერ გენდობი: გავფლანგე, ალარ დამრჩა მე ფული.

# „თავის მოჭრა"

**(ზოგადი იგავი—ზოგიერთ ქუთათურ ამხანაგებისათვის)**

გაგონილა შე კაცო? იმ დალოცვილებმა, თუ მიასვენ ფეხი მღვდლის ჯორივით, მანამ არ მოცილდებიან, სანამ არ ოუკრავენ გუდა-ნაბადს.

აგერ მუშკორებზე ვამბობ. ბიუროკრატობისათვის რავა უნდა მოჭრა თავი თავმომწონე მუშაკს!

გევიხედე—ბით[illegible]ის წერ[illegible]ბი ყლაპიაშვილზე,— 800 მ. შეჭ[illegible]აო, ყლაპიაშვილს რვაასი მანეთი შემოეჭამაო, ყლაპიაშვილი გამფლანგველიაო. რა იყო, შე კაი კაცო! რაცხა 800 მ. შემოხარჯვია კაცს და იმისთვის ხვარ ჩამოვახრჩობთ ახლა? პარტ[illegible]ელი ბიჭია, პირიანი ბიჭია და ქე გადეიხდის. 300 მ. აკეთებს თ[illegible]ში და ნე[illegible] რაცხა 800 მანეთის გადახდა ვერ მოახერხოს? არ ვარგა ასე ამფერ[illegible] თავის მოჭრა კაცისთვის.

ახლა დეიჩემებენ, რა დაჩემება გინდა, კალანდაძის ამბავი გ[illegible]იხსენოთ აგერ; აადეთქენ: „კომუნისტი", „მუშა", „ტარტაროზი", ერთი გაზეთი არ გოუშვიათ ოუთეთქებელი. ორი თვე გაგრძელდა ეს ამბავი და პირდაპირ მიწასთან გაასწორ[illegible] კაცი. მერედა დამნაშავე კი იყო? ესაო და ბიუროკრატიაო, რა იყო მერე! განა ცოტაა ბიუროკრატები რო კალანდაძე არ ამეეჩემებიათ მანდამაინც? ბიუროკრატიზმი სოციალიზმშიც კი იქნება, (ო[illegible]ვე ამუვარდა ბარელამ) და კალანდაძე ციდან ჩამოფრენილია თუ?

# გამფლანგველი

**(ს. ახალდაბა)**

ახალდაბის ალმასკომში
მდივნად გახლავს სარიშვილი,
ფულის ფლანგვა-ლოთობაში
გაწვრთნილი და გამოცდილი.
გომში იყო ფოსტის გამგეთ,
გაუშინჯეს იქ მას კბილი.
პანღური ჰკრეს, გამოაგდეს
ჩაუმწარეს ყოფა ტკბილი.
არ შეშინდა ამით მიშა,
გამოუჩნდა ნათლი-მამა.
ახალდაბის ფოსტის გამგედ
დადგა, ფული ბლომად სჭამა.
აქედან რომ გამოაგდეს,
ის მოეწყო ალმასკომში.
თავმჯდომარევ, ხომ კი იცი
რა ჰქნა მიშამ იქ და გომში

**ტარკორი.**

---

ისეთი სენია ეს ოხერი, რომ ოლქკომშიც კი არი ასე თუ ისე და არ ვარგა მაშ ოლქკომი ხომ? რავა შეიძლება ბიუროკრატობისათვის კაცის ასე ს[illegible] გაბ[illegible]ბ, და თავის მოჭრა?! მე და შენ კი არ ვკითხულობთ მარტო.

როცა სხვას ართმევ ცოლს, კარგია, მარა როცა სხვა გართმევს ცოლს, მაშვინ რავარია ერთი მითხარი?

კალანდაძეებისგან, ყლაპიაშვილებისგან, გიგაურებისგან შევ[illegible]გებით ჩვენ. კალანდაძისთანა „მუშაკები" ს[illegible]ნთლით საძებნელები არიან. აპა, რავა გგონიათ თქვენ! სად გვყავს მასავით „გამოცდილი" მუშაკები დღეს? ჩვენს აპარატს კიდევ სჭირდება „კალანდაძების ხელი".

ქე დავაწინაურებთ დაზგის მუშებს, მარა კარგი და გამოცდილი მუშა-ხელი დაზგას რომ ჩამოვაშოროთ, ეს ხომ წა[illegible]მოების განადგურებას ნიშნავს? არ ვარგა ასე.

შე კაი კაცო, თუ მუშკორი ხარ და კრიტიკას მიკეთებ, რაღა საქვეყნოთ მჭრი თავს? მოდი შინაურულად და მითხარი:—ასე არ ვარგა, ბიჭო! ასე არ ჯობია!— რა საჭიროა გაწერვა? არც შენ შეგაწუხებს ვინმე და არც მე შევრცხვები ხალხში.

ასე ჯობია შენ ნუ მომიკვდები, მარა ვინ-ჯერავს კაცისას.

**ბახჩო.**

**წ. შ.** რადგან ჩემს გმირს „თავის მოჭრის" ძალზე ეშინია, მის ვინაობას არ ვააშკარავებ, დეე მან თვით გამოასწოროს ჩემგან შემჩნეული ნაკლი; ხოლო ეს იგავი კერძო პიროვნებას არ უმიზნებს, თვით პიროვნებამ უნდა დაიმიზნოს იგი!

**ბახჩო.**

# ხაშური ჯუმათი

ჯერ აგიწერ „ეპოს“ სარდაფს,
რომელიც რომ ვაჭრობს ღვინით.
სილამაზით ვერ ვიწუნებ,
მას მოწყობილს „კოხტა“ ბინით.
თუმც არა აქვთ მათ ნებართვა:
„ჭიქით“ ღვინის გაყიდვისა,
მაგრამ ეპომ ეს „უფლება“
უკანონოდ მიითვისა.
ყურადღებას არვინ აქცევს,
ხალხი არის გულმოსული;
როგორაც სურს ღათარეშობს
შიგ „ნოქარი“ თავგასული.
სამიკიტნოთ გადაიქცა
ჩინებული ჩვენი „ეპო“.
უცქერის და არას ამბობს
თავმჯდომარე მისი „ზეპო“.

—:—

„ალმშენებლობას“ არ მისდევს
ვფიცავ ჩვენი ალმასკომი;
სალათას ძილს მისცემია
თავმჯდომარე უქმად მჯდომი
„ტეხნიკუმის“ ქუჩაზედა
გაგვიკეთა ერთი ხიდი,
დამერწმუნე, ტარტაროზო
ნამდვილ არის „ბეწვის ხიდი“.
თუმცა ამ ხიდს აშენებდა
ტეხნიკოსთა დიდი შტატი,
მაგრამ მასზედ ვერ გაივლი
თუ არა ხარ „აკრობატი“.

—:—

„მეარტელეს“ ტარტაროზო,
იცნობს მთელი ხაშურია,
მაგრამ მისი მოქმედებით
მუშის გული დახშულია.
ჯამაგირებს რომ არიგებს,
უყვარს ხურდის არ მიცემა.
ეს ფაქტი ხომ ყველამ იცის
არ სჭირდება დამტკიცება.
გვარად ცხოვრებაშვილია
სახელი აქვს მგონი ლუკა.
ტარტაროზო მოგვაშორე,
მისი საქმე, მისი „შტუკა“.

—:—

კინოში თუ შესვლა გინდა,
სანთლით ეძებ მოლარესა;
ან სულ ველარ დაინახავ,
ან იდაყვზე მწოლარესა.
შიგ დარბაზში თუ შეხვედი,
მუნ გახდები განაოცი,
სიცივეა, ტარტაროზო
იქ გრადუსი თითქმის ოცი.
მაშინ აღარ შეგციედება,
თუ წაიღებ თანვე საბანს,
ნაგვისაგან ამ ჩვენს კინოს
„ცხენის წყალიც“ ველარ გაბანს.
მიტომ კინოს დეფექტების
აღარა მსურს მე დამალვა.
ქალებს უფრო უთვალთვალებს!
კინოს საქმეს გამგე შალვა.

—:—

სამფინგანშიც შევიარე,
დრო არ იყო გადასული.
მაგრამ გამგის საქციელით
მე გავხველ დაღდასმული.
მუშას წლობით ალოდევინებს,
მისაცემი გროში ფულზე.
ზამთარში თუ გამუშავა,
გისწორდება გაზაფხულზე.
ცოტა ფულის აღებაზე,
დაგჭირდება დიდი ბრძოლა.
გამგე მუშას რას დაეძებს,
გვერდს უმშვენებს ტურფა ოლა
და ახეთი მოვლენები,
სამფინგანში ხშირად ხდება,
ტარტაროზო, შენი რისხვა
ხაშურს წამლად მოუხდება.

ნექტარი.

კოპერატივს უწოდებენ,
სახარაზო არის აქა,
უკეთესი არის ერქვას,—
ამ სახელის შავი ლაქა!..
შიგ მუშაობს ხუთი-ექვსი
ხარაზი თუ ნავაჭრალი;
დღეს ვერ ნახავ აქ ისეთსა,
რომ არ იყვენ ღვინით მთვრალი;
შიგ იციან სუფრის გაშლა,
და ზედ „მრავალჟამიერი“,
რომ იკითხოს შიგ რა ხდება,
ვინ იქნება კადნიერი!..
წულა სამ დღეს არ გაგიძლებს,
თუ გინდ მისცე ჩერვონეცი;
დაცვეთაში ბრალს დაგდებენ:—
„შენ ყოფილხარ, ძმაო, მხეცი“.
შიგ მუშაობს ერთიც კერძოთ,
უწოდებენ მას „ვექსილას“,
პროცენტისთვის აქვე უდგას
გოდორი, თუ დიდი ქილა!
დაკერებას აწარმოებს
წუღის თუ სხვა ფეხსაცმელის.
ხედავს, რომ აქ იყიდება,—
სარემონტოდ მინაცემი.
აქ ამასაც კი ამბობენ:
—ში „ვექსილას“ ძევსო თანხა,
რო გაავდონ გარედ ისა,
გაუშრებათ ყველას ხახა!.

მანუჩარ.

# პირიქით



— დავილუპეთ, ჩვენი სასიძო დირექტორობიდან გადაუყენებიათ და მუშკოოპში გაუგზავნიათ ნოქრად!
— მით უკეთესი! მთლად ავშენებულვართ, არაფერი მოგვაკლდება!

# სტუდენტის წერილი

თამარ!

ჰაე თამარ!

სალამი მოკრძალებული და პატივისცემის გრძნობით გამთბარი...

არ ვიცი, არა როგორ დაიწყო, ძნელი ყოფილა მოჩუხჩუხე გზნების ქაღალდზე გადატანა,— მარა, როგორც რაინდი, გაბედულად ვიღებ პირველ გააზრებულ სიტყვას და... გწერ.

მე და შენ თითქოს ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ არც ვიცნობთ. მე ვიცი, მე მახსოვს მხოლოდ შენი სიცილი და ამ სიცილში სილაღე და სიკისკისე ჯერ ისევ დაუღალავი ყმაწვილი ქალის. შენშია მეტად მკვეთრ-სახეობიანი ორიგინალობა, რამაც პირველად მხოლოდ მიიქცია ჩემი ყურადღება და შემდეგ... ო, ემდეგ თანდათანობით იზარდა, აღელდა და ეხლა უკვე ნაპირებიც კი გადალახა და მოედო, დაეუფლა ჩემს გულს, სულს და ჩემს მთელ არსებას.

იქვე გეპარება? არა გჯერა?!

ო, ნუ იქნებით ასეთი გულდაკარგული. რომ ვერ გაარჩიოთ, ვერ იგრძნოთ სიტყვა ყალბი და სიტყვა მართალი, სიტყვა ჭეშმარიტი. მით უმეტეს მეტად შესცდები თუ გაიფიქრებ —ეს ბარათი ვინმე ლანზღანდარასგან იყოს გამოგზავნილი სახუმროდ, შენს დასაცინად, ან და თავის შესაქცევად.

ხო, და...

უნდა გამოხვიდე პაემანზე კვირას, საღამოს 7 საათ. და 41 წ.— საქართველოს მუზეუმის ახალ შენობის წინ —და მოისმინე ჩემ ცოცხალ სიტყვას, სიყვარულს წრფელს, ახალგაზრდულს.

მარჯვენა შემახმეს და კალამი არაოდეს-და დამემტვრიოს თუ იქ არ დაგხვდე ამ წერილის ავტორი.

აი, მოვათავე წერილი და ის იყო მისამართი უკვე წაწერილ პაკეტში უნდა ჩამედო და გავჭიკჭღულიყავ ამ წერილის მახლობელ საფოსტო ყუთში ჩასაგდებათ, რომ გამახსენდა გასულ შემოდგომის პაემანზე გაცდენილი დღე—ჩემი უდიდესი მტერის ტფილისის ფოსტის წყალობით (30 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი —4 ნოემბრისთვის პაემანის დანიშვნა — 6-ში ჩამაბარებინა...) და ისთქვი ათასჯერ სჯობია ერთ. ტარტაროზში" „ჩავაგდო"; და ამას მიკარნახებდა შემდეგი მოსაზრებანი·

პირველი—საფოსტო მარკის ფული არ დამჭირდება; მეორე—დაგვიანების შიში აღარ მაქვს— კვირისთვის ჩასაბარებელს შაბათსვე ჩააბარებენ; —მესამე—ეგებ ჰონორარიც კი მომცენ —ფული ამჟამად მეტის-მეტად მჭირდება— მოგეხსენებათ კ. მარქსის „კაპიტალი" გამოდის ქართულ ენაზე და ნატვრათ მაქვს გადაქცეული მისი შეძენა... და უპირველესი და უკანასკნელი ის, რომ ეს „რომანიული ბარათი" მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დავწერე, რომ როგორმე შევხვედროდი იმ ქალს, რომელსაც ხუთი თვეა წაღებული აქვს ჩემი საუკეთესო ლაქვენიმე წიგნი და აღარ მიბრუნებს, გზაშიც აღარსად მხვდება, მის ბინაზედაც რამდენჯერმე მოვიკითხე, მაგრამ ვერ იქნა—ვერ ვნახე; პაემანზე კი უეჭველად დამხვდება; მაშინ კი იცოცხლეთ მე მას ჩხუბი გაუმართო, სანამ თქვენ მოეშველებოდეთ, — და ჩემი წიგნების დაბრუნებაც უზრუნველყოფილია— თორემ, სად მცალია „ს... ვარულის ციებ - ცხელიბისთვის"?!

ზალ... № 9.

# სტრატეგია

ლანჩხუთი



— კაცო, ტელეფონით რატომ ელაპარაკები ალმასკომის თავმჯდომარეს! მიდი და კაბინეტში უთხარი

— შენი მტერია იქ რომ მივიდე; ისეთი შემოუყვირებს იცის, რომ.. ტელეფონში კი რა უნდა დამაკლოს!

(რე—კო)

# ქიათურა

ეს ჩ ინი მიხა მებუკე,
სწორედ, რომ „დიდი კაცია",
კოჭამდი წვდება ხანჯალი,
ტანზედ ბლანდულა აცვია.
ყველგან მოედვა ყოველ მხრივ,
გაშალა დიდი ბადეო.
„ეს დამიწერა გამჩენმა,
ამისთვის და...
კომკავშირში ყავს შვილები,
სხვები დააკლებს ვინ რასა!
ფული აქვს გასესხებული
და მიტომ ივსებს ქისასა.
ქიათურაში ვინ დათვლის
მას რამდენი აქვს დუქანი.
(მუდამ უყვარდა მიხეილს
ლუკმა დიდი და მსუქანი).
თბილისშიც ორი სახლი აქვს,
ბათუმში — ხუთი დარაბა,
მიხეილს—ფული, ქონება,
სხვებს—კის ს რიხა, ჯანო...ა.
პროცენტში თავნი ბევრი აქვს
ალებულ-განაღდებული,—
მაგრამ თავნს თავნად კვლავ სტოვებს
ვექსილი განაღდებული.
მაგრამ ეხლახან მიხეილ
„იშკილებიდან დავარდა",
ვალს ვერ უხდიან ვადაზე,
მიხა თოფივით გავარდა.
ლოშაში აღარ მოუდის
ამბობს: „ნამუსი წახდაო"
უკანანი წინ, წინანი—
„უკანით დადგეს" ახლაო.

„ახგო"


23 მარტს 12 საათ. ქუთაისის საგაზეთო სააგენტოში მოწვეულია

„ტარტაროზი"-ს

ადგილობრივ თანამშრომელთა კრება.

დასწრება სავალდებულოა.

# ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ნახ. გ. ლილუაშვილის. ზესტაფონი.



— კაცო, რა დაგმართია! კლდეში გადიჩეხე, რომ ასე დამტვრეულხარ?
— არა, ძმაო, მუშათა კლუბში ვიყავი უფასო წარმოდგენაზე.

ნახ. ვ. ლაშხიასი. ლანჩხუთი.



— კაცო, ძვლების დაგროვებაში რომ გამომიწვიე, ერთი მითხარი სად ვიშოვო ამდენი ძვლები?
— მიდი ჩვენს წითელ სასადილოში და კერძში ძვლების მეტს რას ნახავ!



განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავიდა.



— რა ჯანმრთელი კაცია ჩვენი გამგე! შეხედე, ლოყები როგორი წითელი აქვს?!
— ჯანმრთელი კი არა, ის სიწითლე მემანქანე ქალის ტუჩების სალებავიდან აქვს.

ნახ. ლეჟნიევის, სიღნაღი.



— მე თქვენ გასწავლით, თუ როგორია „თვითკრიტიკა".
— ნუ სწუხდებით, მასწავლებელო, ჩვენ უკვე კარგად ვიცით მისი მოხმარება.

## „რევოლვერი"

უბინაო სტუდენტმა ხარიტონ ხუხუნიმ დარაბა გატეხა და შიგ ჩასახლდა.

კარებთან მთელი ეზო შეიკრიბა. შეიქნა მითქმა-მოთქმა, ხმაურობა, ყვირილი.

— დაიჭირეთ, ეს არამზადა!—იძახოდენ მდგმურები.

მოვიდა მილიციელი.

კარებს ძლიერად დაურახუნა. არავინ გააღო. კიდევ დაარახუნა. არავითარი ხმაურობა. თითქოს შიგ არავინ არისო.

— კარები გააღე სანამ შემოვამტვრევდეთ!—იყვირა მილიციელმა.

კვლავ სიჩუმე.

მილიციელი კარებს მიაწვა. შემტვრევა არ დასჭირდა, კარები ადვილად გაიღო. სტუდენტმა მილიციელს რევოლვერი აუთამაშა თვალწინ და უყვირა:

— უკან გაბრუნდი თუ არ გინდა სიკვდილი!

შეშინებული მილიციელი კარებს მოსწყდა და გარეთ გამოვარდა. მოვიდენ მეეზოვენი და მილიციელნი. ხალხიც ბლომად მოგროვდა.

— აი, ხედავ,—იძახდა მილიციელი,—იარაღიც აქვს; დაიჭირეთ...

ერთმა მეეზოვემ კარები შეაღო.

— შემოდი თუ ზედმეტი სისხლი გაქვს!—შესძახა სტუდენტმა.

მეეზოვე რევოლვერის დანახვაზე ხალხში შევარდა.

ვინაიდან თავი ყველას უყვარდა, კარებს არავინ მიეკარებია. ერთხანს იქ იდგენ. მერე წავიდენ. ხალხიც დაიშალა.

სტუდენტმა მშვიდად დაიძინა.

მეორე დღეს ეზოში მეზობლები ახმაურდენ. დარბაზის წინ ისევ შეიკრიბა უსაქმო ხალხი უცნაური ამბის მოლოდინში.

— თურმე მთელი იარაღის საწყობი აქვს! —ამბობდენ მდგმურები.

თერთმეტ საათზე გამოცხადდა მილიციის გაძლიერებული რაზმი.

მეეზოვეები ჭიშკართან შეიმალენ, რომ „ყაჩაღი" იქიდან არ გაქცეოდათ.

უფროსი მილიციელი რევოლვერით ხელში გაბედული ნაბიჯით მიუახლოვდა კარებს.

ყველა სულგანაბული მოელოდა რაღაცას.

მილიციელმა კარები შეაღო. ხარიტონ ხუხუნიმ მხოლოდ ერთი შეძახება მოასწრო:

— არ გაბედო, თორემ!—და რევოლვერი ძირს დავარდა. ხელები მაღლა ასწია.

შეპყრობილი ხარიტონი წამსვე გაიყვანეს. ოთახში შევარდენ. ნახეს მიყრილ-მოყრილი ბარგი. იგურის იატაკზე რევოლვერი.. მხოლოდ დაჟანგული ლულა იყო, უჩახმახო და უტყვიო.

ცნობის მოყვარენი გაკვირვებით შესცქეროდენ ერთმანეთს. არც ერთს არ ეცინოდა...

ზიო ზოარული.

## „ზაკავტოპრომტორგი“ (ხონი)



— ამხანაგო, ამდენი ხანია გიცდით და..

ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ: — სსს! ჩუმად. ხომ ხედავ რადიოს ვუსმენ? შენი ჭირიმე რა კარგი სიმღერაა! მყოლოდა მაგენი ჩემს კამპანიაში!

## ვერის აბანოში




— სად მიგაქვს ეგ ღუმელი?

— ვერის აბანოში. ისეთი სიცივეა, რომ თუ ცეცხლი თან არ წაიღე, გაიყინები.

### ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘ — ᲮᲝᲭᲝ-ᲞᲣᲠᲘ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ. პური ცხვება. რა პური! პირდაპირ ხაჭაპური; ვერ გაიგებ რა არის: ცომია და ღომია. თუ რამე სთქვი, გეტყვიან: **შენ არ შეგიტყვია, რომ ასე სჯობს ძმობილო, „კარგად გამოცხობილო“? პური არის, რა პური პირდაპირ ხაჭაპური. გესმის ხაჭაპური! ანუ ᲮᲝᲭᲝ-პური. ჰა, წაიღე რაც არი, შიგ ხოჭოა, ბაწარი, ბეწვები და ნაცარი!**

ალმასკომო, მეფურნეს, აუწიე ყურები — გამოაცხოს მან კარგად ცხელ ფურნეში პურები.

**ტარკორი.**

### ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

ᲙᲝᲠᲑᲝᲣᲚᲘ. ბიჭი არის, რა ბიჭი — მთლად ტალანტი და ნიჭი. თავი მოაქვს გმირადა, მთვრალი არის ხშირადა. თავი მოაქვს თავადად, ხშირად არის თამადად. თავი მოაქვს ამურად, ხშირად დადის ღამურად, — ქალებს სახლში უხდება, ფანჯრებიდან უხტება.

ალმასკომო, ხომ კი იცნობ ტალახაძე სერგოს? ნუ თუ მას ამ ამბებისთვის არაფერი ერგოს?!

**ზნაკ-ზერო.**

### „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ“

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ნასწავლ ხალხის უქონლობის აღარ არის უკვე შიში. აქ გაიხსნა კარტნარდკურსი, ისწავლება ანგარიში. საქმე მიდის სულ წინ-წინა, აღარ ჰყოფნით ერთი ბინა. და „სტუდენტებს“ ამ კურსისას უხვად სწყალობს ციდან ღმერთი, ერთ კვირაში შეისწავლეს „ბაქარა“ და „ოცდაერთი“.

**შაკო.**

### ᲥᲐᲝᲡᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ (ფოსტა-ტელეგრაფი). აქ პატრონი ძაღლს ვერა სცნობს, ვერც ძაღლი სცნობს თავისს პატრონს. აქ საიდან მოუყრიათ, ნეტა, თავი ამდენ ბატონს? თავისთავი მათ ჰგონიათ ძველი დროის დიდი გრაფი. სინაგოგას მოგაგონებს ჩვენი ფოსტა-ტელეგრაფი.

**(ტელა).**

### ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

Ს. ᲭᲐᲭᲘᲔᲗᲘ (გურია) „ოცდაერთი“-ს წრე დაარსდა, კურსი არის მაგარი. ხელმძღვანელად არიან სილიბისტრო და მაკარი. კურსი არის გახსნილი ივანესას „ქუხნაში“. ახალგაზრდა წევრებმა შეისწავლეს თამაში. მშობლებიდან ითხოვენ კრედიტების გაღებას. ზოგს მშობელი არ უშლის იქ ფულების წაღებას.

**(„ბასტა“).**

### ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ

ᲬᲐᲚᲙᲔᲠᲘ. დათიკომ არტელში მიიღო ვაჭრები, რომლებმაც მიუძღვნეს ნარჩენი ნაჭრები. და ისმის მათ სახლში სიმღერა, ტაშია. (დათიკო სპეცია ჭამა და სმაშია, ქეიფში ყოველთვის ის ტოლუმბაშია).

## „ანტიპოეტი“

**(ერწო—თიანეთი, თბ. მაზრა)**

აქ ამბები ბევრი ხდება
გასაკვირი, გასაოცი,
ბოროტება— თაღლითობა
დაითვლება ას სამოცი.
„ანტი-პოეტს“ ეძახიან
თუ კი ვინმე რამეს ამხელს.
თუ კი ვინმე ტატჩაშვილსა
ან ჯიბლაძეს ხელი ახლეს.
თავბერიძე გვეუბნება:
წერისათვის გიზამთ საქნელს,
თუ კი მე, ან თავმჯდომარეს
გაზეთებში ხელი ახლეს.
სხვანაირათ მოგიბრუნებთ,
სხვანაირსა საქმეს დაგდებთ;
ერთი მოსმით რომ აქედან
კისრის ტეხით გადაგაგდებთ“.

შევარდენი.



შაეროვანი იყო ჭაბუკი
როცა მუშკოპის გამგედ დგებოდა.

ბაყბაყ მდევივით მიაბიჯებდა,
როს შინ საქონელს ეზიდებოდა.

# ფარცხი-მარცხი

### თუმცა მიხეილი „განკაცდა“, —
### ღვთის გზას მაინც არ აცდა.

ნიბრი.

დიაკვნად იყო მიხეილ წერეთელი .ახლო ხანში მას უნდა მიეღო („დაეწინაურებიათ“) მღვდლობა.

მაგრამ მიხეილმა გაიფიქრა:

— რა ოხრობად მინდა მღვდლობა? რა ჰყრია შიგ? მღვდლობას მასწავლებლობა სჯობია!

. და მოეწყო „ხელმძღვანელ მასწავლებლად“ სოფ. გოდოგნის (ქუთ. ოლქი) სკოლაში.

იყო მიხეილ მისთვის. არც არაფერს აკეთებდა (სკოლის შენობა ინგრეოდა) და არც არაფერს აფუჭებდა.

მაგრამ, აი **„პამპულაი (რომის პაპა) შეიმოსა თოფითა და ჯინჯილითა“.**

მიხეილში აღალადდა ღვთისმსახურება და გამოეცხადა მას, ვითარცა მარიამს, სული წმინდა და რქვა:

— ჰაი, მიქელ, მიქელ, რად არ აქცევ ყურადღებას ტაძარსა ქრისტესა, რომელს დაულპა სახურავი თვისი და არავინ არის შემკეთებელი მისი!

მიხეილი დაემხო პირქვე და რქვა უფალსა:

— მომიტევე, მეუფეო! გამოვასწორებ შეცდომასა ჩემსა!

და, მართლაც, მეორე დღესვე მიხეილმა სკოლაში დაარსა „ეკლესიის ფონდი“, რომელსაც „საძირკველი ჩაუყარა“ მისმა სამმა მანნათმა.

— კი, მარა, ჩვენი სკოლა რომ ასეთ მდგომარეობაშია,—სახურავი დაულპა, წვიმა ჩამოდის, — თუ რამე შეგვიძლია სკოლას დავეხმაროთ! — გაიფიქრეს მასწავლებლებმა ვენერამ და ცაცანამ, მაგრამ შეეშინდათ: — უფროსია! ვაი თუ სამსახურიდან..

— აუცილებლად, აუცილებლად! — კვერი დაუკრა თინამ (დიაკვნის შვილია).

— მედა ჩემმა ღმერთმა, ამაზე უკეთეს ვერაფერს ვიზამთ! — დაუდასტურა ბაბულომ და წინადადება შემოიტანა: — ფული მასწავლებლებს დაექიროს ჯამაგირში!

ამ დღეებში დაიწყება ეკლესიის შეკეთება.

### უკვე გადის ერთი წელი...
### არ ურჩება მუშებს წელი

დაშავებული

შარშან, 17 აპრილს ოზურგეთის სადგურის ახალ შენობაზე მუშაობდენ ახალგაზრდა მუშები. სამუშაოს ხელმძღვანელთა უყურადღებობით ჩამოინგრა ხარაჩო და დაშავდა 5 მუშა, მათ შორის სამი—მძიმედ. ერთს ფეხი წაუხდა, ხოლო მეორეს თვალი.

საქმე ოზურგეთის სასამართლოშია, რადგან ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა მუშების კანონიერი მოთხოვნილება:

— თქვენ ჯერ ახალგაზრდები ხართ, თქვენზე არ ვრცელდება არსებული კანონები ასეთი შემთხვევების შესახებ-ო.

მოსამართლემ საქმე შემოდო, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, მაუდის ქვეშ.

— კოჭლია, ცალი ფეხი დაუმოკლდა, მაინც ვერ ივლის სოფლიდან და ვერ შეგვაწუხებს — საქმე მალე დანიშნეთო.

— კი, მარა მეორეს ხომ თვალი გაუფუჭდა და არა ფეხი! ის მოვა და მოითხოვს საქმის დაჩქარებით განხილვას!

— მას ისე აუბნევ გზა-კვალს, რომ... ასე ფიქრობდენ ამდენხანს სასამართლოში.

ბოლოს დაზარალებულები ერთად მივიდენ სასამართლოში და მოითხოვეს საქმეს დაჩქარებით განხილვა.

— დაიცათ, თქვენ კაი კაცებო. ჯერ ერთი წელიწადი არ გასულა და ასე უცბად გინდათ საქმის გარჩევა? ცოტა კიდევ დაიცადეთ, და წლის თავზე გავარჩევთ.

დაზადალებულთ იმედი მიეცათ:

— 17 აპრილიც მალე იქნება, დავიცდით, სხვა რა გზა გვაქვს!

— წლის თავზე, მაგრამ რომელ წლის თავზე?—იკითხა ერთმა იმათთაგანმა, — ერთი წლის თავზე თუ... თუ ორი წლის თავზე?!

ალბად მალე გამოირკვევა, მართლაც, რომელ წლის თავზე აპირებს სასამართლო ამ საქმის გარჩევას.

# ატირდა ტრესტი...

**სატყეო ტრესტი დაუდევრობას იჩენდა გამომგონებელთა მიმართ, ყურადღებას არ აქცევდა მათ დაჯილდოებას და სხ.**

—:—

მარელისის ავეჯეულობის ფაბრიკის ბუღალტერმა გამოიგონა ბალანსის შედგენის ახალი ხერხი, რომლითაც მან მოახერხა აწეულ თვითღირებულების შემცირებულად გამოყვანა. **გაზეთებიდან.**

ატირდა ტრესტი სატყეო,
ავავინ მაცლის ძილსაო,
განგაშსა სტეხენ უბრალოდ,
კიდეც მწამებენ ცილსაო.
რა უნდათ, რად ამეკიდენ—
არ ვიცი მე—მუშკორები,
რომ ჩემს გარშემო ვრცელდება
ათასნაირი ჭორები: —
რომ ყურადღებას არ ვაქცევ
თუნდაც,—მე, გამომგონებელს;—
განა მოუვა ეს აზრი
თავში „ნამუსის“ მქონებელს?
მას თავს ველები პირაქეთ,
როგორც ნუგეშს და წამალსა.
თუნდ მარელისის ამბავიც
ნათლად ამტკიცებს ამასა: —
გამოიგონა იქ „ბუხმა“—
(მკითხველს ეს მოეხსენება),
ხარჯის ზრდის ნაცვლად ბალანსში
გამგებ, დაკლების ჩვენება
ვაშა მის სახელს! ამითი.
ტრესტი გახდება ქებული
და სოცშეჯიბრში ქარხანაც
გამოვა გამარჯვებული.
გვწამს,—ბუღალტერი ასეთი
ხელიხელ საგოგმანოა,
და მისი გამოგონებით
კომუნიზმის მზეც ამოვა.
გვწამს და ხელს ვუწყობთ...
სანაცვლოდ
გაგვკიცხეს მთად და ბარადა...
სთქვა და ატირდა..; ცრემლები
წამოუვიდა ღვარადა;
ატირდა ტრესტი სატყეო;
ცრემლს ღვრიდა, დარდით
სჭკნებოდა,
მისგან ნადენი კურცხალით
წისქვილი აბრუნდებოდა

ხიკო.

# სამტრედია

ეს ალექსი (ტოფაძეა
მისი გვარი)
ჩვენ გვეგონა,—კაცი თავლი
და შაქარი.
ნუ იკითხავთ, გვანადგურებს
იგი თურმე!
სალაროში ჩერვონეცებს
ხელებს ურევს.
გაალალა საბუდარი,
ლამაზ ქალთა!
მაგრამ ბოლოს ორივე ფეხით
გაიხლართა
დღეს კი მორცხვად გამსახლაედან
იყურება!

# ვინ არის

## (ლანჩხუთი)



— კაცო, ამას რატომ არ აქცევ ყურადღებას, რომ...
— მაგისთვის მცალია? აგერ სახაზინო ფული გადამცდა მუცელში და მახრჩობს კაცს.

(რეზიკო)

---

დეე, ისმინოს ზიზლი აწი
მის ყურებმა.

—:—

საკრედიტომ მიპასუხოს
მოკლედ, სადათ!
ის სად იყო, რაც ხდებოდა
მაშინ სადა.
რომ ამდენი უსაფუძვლოთ
გვაზარალა?
ეს გვაწუხებს, ეს გვალონებს
და გულს ბზარავს.
ოდეს ნახა გაფლანგული
დიდი თანხა.
მუნ გაშეშდა და ფიქრებით
დაითალხა.
ოთხი კედელს „შეეფარა“,
ოთხი „გმირი!“—
გაფლანგულს კი საკრედიტო
სტირის, სტირის.
მავნებლები სხვა დარგშიაც
ბევრი ნახეს!
თვალით ნახეს და „პატივით“
ხელიც ახლეს.
მაგრამ ექიმ ჯველესიანს
არ ჰშვენოდა,
პატიმრებს რომ ტროსტით ხელში
მიყვებოდა.
ძფლანგველების სული იყო—
ჰქონდა რიდი!
მიტომაც მწუხარებდა
თურმე იგი...

შაგნელი ბზიკი.

# ყურმოკრული

## ოზურგეთის მაზრა, სოფ. მამათი

— გამარჯობა, ივანე!

— ღმერთმა მიცოცხლოს შენი თავი, ჩემო ერმილე.

— რა ქენი, ივანე, იმ საქმის?

— რომელი საქმის?

— აი, ის ხელაძის ობლები, რომ შენი სამეურვეოა, იმათ რომ 80 მანეთში დეკნას ართმევდი, ვითომც შენ მათზე ნახარჯი ჰქონებოდეს?

— ჰერიჰააა! მე მაშინ მეტყობოდა სიკეთე, რომ წრეულს ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებოდი კურდღლებს. (ეს ხომ იცი, ჩემო ერმილე, ცუდი ნიშანია!).

— რა იყო, კაცო? არ გაამართლა იმედი თუ?

— შენს მტერს გაუმართლდეს ისემც იმედი.

— ხომ არ გადარეულხარ, კაცო? საქმე მოგებული და თითქმის გათავებული იყო?!

— ჯერ არ გადავრეულვარ, ჩემო ერმილე, მარა გავნახევრდი კაცი ჭკუიდან და ამ კვირაში რომც გადვირიო, არ არის გასაკვირველი.

— ვერაფერი გევიგე. ივანე, და თუ კაცი ხარ, კარგად მითხარი რა იყო. რა მოხდა?

— რა იყო და რა მოხდა, ჩემო ერმილე, და ის იყო და ის მოხდა, რომ სასამართლოში მოგებული საქმე კიდევ ქე არ გაასაჩივრა ქვრივის ძმამ! ივანეს და ერმილის ჭამა უყვარდაო, —დაუწერია დათიკილას მისთვის განცხადება და გაუგზავნია ოზურგეთის სამეურვეო განათლების განყოფილებაში... ივანეს და ერმილეს ჭამა უყვართ და მიტომ ჟოჟიბიან ერთმანეთსო და ჩვენი ობლების ქონების შეყლაპვა უნდათო.

—ვაი, ამ ჭამას, კიდევ უნდა ვირბინოთ ამ საქმეზე?

— კი ვირბენთ, მარა არა მგონია რამე გამევიდეს. ხომ გაგიგონია: „სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო“, სწორედ ჩვენზე ყოფილა თქმული.

და—ხე.

# მარცხი

ვახ, ვახ, როგორ ტყულა უბრალოდ გადავაგდე კვარტის ფული!

— როგორ?

— როგორ და ჩემ ჭკუას კი რა უთხარი, გაქანებულ ტრამვაიზე შევხტენი, მილიციელმა თვალი მომკრა და მანეთით დამაჯარიმა.

---

## „კარგი მსახიობი“

(ფოთი)



— შეხე რა კარგი მსახიობია, როგორ კარგად თამაშობს, სულ გალურჯდა და კანკალებს!

— თამაშობს კი არა... ეს სიცივისაგან მოსდის!

(ლუზა)

## გამოცანები

(ასკანისათვის, გურია)

კუთხით-კუთხე დათარეშობს
გაიძვერა ერთი ვაჟი,
ავაზაკურ მოქმედების
კარგა ხნიდან აქვს მას სტაჟი
ზოგს სიკვდილით ემუქრება,
თავს ს'ვის ლუკმით იპატიჟებს.
წმინდას როგორ გადაურჩა,
მუშტს რომ უღერს კოლექტივებს?

გლეხკომში რომ მსახურობდა,
ბოომათ ჰქონდა გასახრავი,
ტკბილ ცხოვრებას შეეჩვია,
„შეაჭამა ფულმა თავი“,—
და ამრიგად არსებობის,
შეუმოკლა გლეხკომს დღენი.
ჰა, სახალხო სასამართლოც...
ენახოთ მისი განაჩენი.

„ქიანჭველას ფეხს არ ადგამს“—
იტყვის კაცი ერთის ნახვით.
საუბარში თუ ჩაუჯექ,
გაგიწყალებს გულსა ჩმახვით.
მასში ეჭვიც არვის შედის,
რომ ფლიდია, გაიძვერა,
და სიტყვები მისგან თქმული
სიმართლეც კი არვის სჯერა.

ხაბლო—ყანცარიე.

# გოდორი

**ხამ-შვილს** (საჯვავახო) „ეპო“-ს სასადილოს მოსამსახურეზე, გვწერთ, რომ ის

**მთვრალი მუშტარს ეჩხუბება;**
**— გადიხადეთ ღვინის ფული!**
**მთვრალი ამბობს: „გადვიხადე,**
**წადი... შენი მამის სული“.**

ავითონ თქვენ ხომ არ შეგმთხვევიათ ეს ამბავი?

**დირიჟაბლს.** თქვენ დირიჟაბლსაც მარცხი შეემთხვა „დიდ ოკეანეზე“ (ანუ ჩვენი უფსკერო გოდორი) გადაფრენის დროს და შიგ ჩავარდა.

**უშიშარს** (ჭიათურა, № 5 მაღარო) სიმონ უგრეხელიძის შესახებ, ასე იწერებით:

**მუშების ძველი მყვლეფელი,**
**თავს გვადგას ხათაბალათა.**
**შავხიელი ის დღესაც,**
**სურს რომ გაწითლდეს ძალათა.**

ხომ გაგიგონიათ ხალხური თქმულება: „არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა“. ასეთივე ითქმის უგრეხელიძეზედაც.

**„მიუდგომელს“** (ჭიათურა, ცენ. კლუბი). რა ჩვენი (და მით უმეტეს რა შენი) საქმეა თუ გრიშამ ტფილისში დუნია წაიყვანა და:

**უყიდა პუდრი, პამადა,**
**„ზემჩუგი“, რედიკულია.**
**თამარასაც ჩამოუტანეს,**
**მისთვის ხარჯეს ფულია.**

მაგრამ, როგორც სჩანს თქვენ დაინტერესებული ყოფილხართ, რადგან:

**ამ მანტიორს ვერ ველევი,**
**ის ხომ ამ კულბის თვალია.**
**მეც დამეხმაროს ეგების**
**და გამირიგოს ქალია.**

აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული.

**„კუნტრუშა“-ს** (შროშა). რადგანაც თქვენი წერილი სატარტაროზო არ იყო, ამიტომ ის ტარტაროზის გოდრისკენ „წაკუნტრუშდა“. დარდი ნუ გექნებათ, იქ თავს კარგად გრძნობს.

**მხატვარს** (ახალ-ხენაკი). თქვენ ამბობთ, რომ:

**კლუბის გამგე მარკოზია,**
**თითქოს კაცი „ზავხოზია“.**
**იბერება როგორც ბუშტი,**
**მოუხდება იმას მუშტი.**

ეს ისეთივე ხულიგნობაა, როგორც

**მარკოზია თავმჯდომარე,**
**ყველაზე თავს მჯდომარე.**

მუშტის რა მოგახსენოთ, ყურის აწევა კი მოგიხდებოდათ ასეთი ცუდი ლექსის დაწერისათვის.

**როგოს** (აქვე). ამ ლექსს მეორეჯერ გვიგზავნით და თანაც გვისაყვედურებთ: — **ახეთ კარგს ლექსს თუ არ დაბეჭდავთ „ტარტაროზში“, მაშ რა უნდა დაბეჭდოთ?** განა ეს ცუდი ლექსია?:

**ჩემი ქოხი, ეჰ, ძველი და ბნელია**
**და სიცოცხლე მასში დიახ ძნელია.**

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ლექსი ცუდია, — მაგრამ თქვენ რა? ეს ლექსი ხომ ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნის!

**ინკოგნიტოს** (ოზურგეთი). თქვენს მოთხრობას ხალხური ლექსი ახლავს დასაწყისში:

**აფრინდა ქორი, აფრინდა**
**არაგვი ჩაინადირა.**
**მცხეთას დაეცა დედალსა,**
**ავჭალას მტვერი ადინა.**

ტარტაროზმა ასე შეაკეთა თქვენი ლექსი:

**აფრინდა თქვენი წერილა**
**გოდორში გადაფრინდაო.**
**იქ სხვა წერილებს დაეცა,**
**მეც თქვენთან ყოფნა მინდაო.**

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ც 345
1930



# „პ უ რ მ ა რ ი ლ ი“



ვაი თუ ამდენმა ხარჯმა ტყუილ-უბრალოდ გაგვიაროს, და სამსახურში ვერ მოგაწყონ!

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319